

გ რ მ ა ბ ი
გარევოს ავტომატიზაციული სისტემები
TRANSACTIONS
AUTOMATED CONTROL SYSTEMS
Т Р У Д Ы
АВТОМАТИЗИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

№ 1(2)



თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2007

1971 - 2006

კრებულში შეტანილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის დაარსების 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამუცნიერო შრომები (ნაწ.2)

The selected articles comprise a collection of scientific works (part 2)
presented to 35th anniversary of foundation of the Automated Control Systems Department
at Georgian Technical University

В сборнике представлены научные труды (ч.2), посвященные
35 летию образования кафедры Автоматизированных систем управления
Грузинского Технического Университета

სარედაქციო პოლემია:

- გოგიჩაიშვილი გ., დადიანი თ., ვერულავა ო., ზედგინიძე ი., კამკამიძე კ., კუპრავა რ., ლომინაძე ნ., მაჭარაძე თ., მბინარიშვილი ლ., ტორონჯაძე თ., ფრანგიშვილი ა., წევრაძე ზ., ჯიბლაძე ნ.
- ჩოგოვაძე გ., კაგუავა ი., კვიტაშვილი ა., მელაძე ჰ., მიქაძე ი., სალუქვაძე მ., ჭავჭანიძე ვ., ხომერიკი ი.
- გერმანია: ბოლხი გ., ბოტკე კ., ვედეკინდი ჰ., დე-მეერი ჰ., მაიერ-ვეგენერი კ., რეისიგი ვ.
- აშშ: ტრივედი კ. (ლუკეს უნივერსიტეტი), კანადა: ქაჩიბაია კ. (IT Industry)
- რუსეთი: ბაბაიანი რ., შჩუკინი ბ., სტრიევსკი ვ., ფომინი ბ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: გ. სურგულაძე. რეფერატები: www.gtu.ge/katedrebi/kat94

EDITORIAL BOARD:

- Gogichaishvili G., Dadiani T., Verulava O., Zedginidze I., Kamkamidze K., Kuprava R., Lominadze N., Macharadze T., Mdzinarishvili L., Toronjadze T., Prangishvili A., Tsveraidze Z., Jibladze N.
- Chogovadze G., Chavchanidze V., Kakubava I., Kvitaishvili A., Meladze G., Mikadze I., Salukvadze M.
- Germany: Bolch G.(Erlangen univ.), Bothe K.(Humboldt univ. Berlin), De-Meir H.(Passau univ.), Meyer-Wegener K. (Erlangen univ.), Reisig W. (Humboldt univ.Berlin), Wedekind H.(Erlangen univ.)
- USA: Trivedi K. (Duke University)
- Canada: Kachibaia V. (IT Industry)
- Russia: Babaian R.(IPU), Tshukin B., Strijevski V.(Mephi) , Fomin B. (St-Petersburg El-Techn.Univ.)

Executive Editor: G. Surguladze.

References: www.gtu.ge/katedrebi/kat94

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

- Гогичаишвили Г., Верулава О., Дадиани Т., Джигладзе Н., Зедгинидзе И., Камкамидзе К., Куправа Р., Ломинадзе Н., Мачарадзе Т., Мдзинаришвили Л., Прангишвили А., Торонджадзе Т., Цвераидзе З.
- Чоговадзе Г., Какубава И., Квиташвили А., Меладзе Г., Микадзе И., Салуквадзе М., Чавчанидзе В.
- Германия: Больх Г., Ботэ К., Ведекинд Х., Де-Меер Г., Мениер-Вегенер К., Рейсиг В.
- США: Триведи К. (Университет Дюке)
- Канада: Качибая В. (IT Industry)
- Россия: Бабаян Р. (ИПУ), Щукин Б., Стрижевский В. (МИФИ), Фомин Б. (ЭлТехУнив.С-т Петербург)

Ответственный редактор: Г. Сургуладзе.

Рефераты: www.gtu.ge/katedrebi/kat94

ISSN 1512-3979



გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007
Publishing House „Technical University“, 2007
Издательство „Технический Университет“, 2007

გ ი ნ ა ს რ ს ი

- ინფორმაცია, პროცესული ტექნიკისთვის და მათი განვითარების და სფალების
თავავარებოვანი მიართულებასი. გოგიჩაშვილი გ., ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ.

თეორიული ინფორმაციები

| | |
|--|----|
| <u>- THE FORGOTTEN QUOTATION MARKS.</u> Wedekind H. | 16 |
| <u>- PETRINETZE IN DER WELT DER SYSTEMMODELLE: GLEICHUNGS- UND UNGLEICHUNGS-INVARIANTEN ELEMENTARER SYSTEMNETZE.</u> Reisig W. | 23 |
| <u>- ГЕОМЕТРИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ И ГРАФИЧЕСКИЕ МЕТОДЫ РЕШЕНИЯ ЗАДАЧ.</u> | |
| Сесадзе В., Чикадзе Г., Кекенадзе В., Каишвили Т. | 32 |
| <u>- პერსიანული აღმოჩენის პლანი 1000ით განსაზღვის ამოცანის გასათვალებად დამყარებული გარსების უმთხვევაზე.</u> ობგაძე თ., დავითაშვილი ი. | 36 |
| <u>- არამრგვლის სისტემების კვლევალობის კომპიუტერული კომიტიუტის განსაზღვრის საკითხებისათვის.</u> მჭედლიშვილი ნ., იმედაძე თ. | 44 |
| <u>- О СПОСОБЕ ОПРЕДЕЛЕНИЯ ВЕРОЯТНОСТИ РЕШЕНИЯ ЗАДАЧИ НА МНОГОПРОЦЕССОРНЫХ ВЫЧИСЛИТЕЛЬНЫХ СИСТЕМАХ ПРИ НАЛИЧИИ РЕЗЕРВА ВРЕМЕНИ.</u> Джоджуа З., Джоджуа Н., Микадзе И.З. | 48 |
| <u>- АЛГОРИТМЫ АДАПТИВНОЙ РЕГИСТРАЦИИ ИЗМЕРЕННЫХ ДАННЫХ В КОМПЬЮТЕРНЫХ СИСТЕМАХ УПРАВЛЕНИЯ.</u> Мачарладзе Т. | 53 |
| <u>- მაგავარის კომიტეტური ურთები.</u> უვანია თ., კიქნაძე მ., მაღრაძე მ. | 58 |
| <u>- საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მათემატიკური მოდელი.</u> შონია ო., ნარეშელაშვილი გ. | 65 |
| <u>- ამოცენის საიმპორტის აროგნოზირება კლასტერირების უზრუნველყოფის მიხედვით.</u> ვერულავა ო., თოლუა თ., ვერულავა ლ. | 68 |

პრაქტიკული ინფორმაციები

| | |
|---|-----|
| <u>- ტესტური კონტროლის ამოცანის უორალიზაციის შესახებ.</u> ბოსიკაშვილი ზ., კაპანაძე დ., უვანია თ. | 73 |
| <u>- ქსელის გართვის აროვესის აღგორითმები.</u> ჯანელიძე გ., მეუარიშვილი ბ., მეუარიშვილი თ. | 78 |
| <u>- რეალიზების მემკვიდრეობის მოდელირება მართვული დაკომიქტებისას.</u> სუხაშვილი თ. | 82 |
| <u>- შესაძლებლობათა სიმულაციის მოდელის შესახებ.</u> ბეჟანიშვილი ლ. | 86 |
| <u>- მოცავეთა პაზების დაკომიქტება კონფიგურაციის რეგაციზატორთათვის.</u> თოფურია ნ. | 92 |
| <u>- კორაონაციული საინფორმაციო სისტემების დაკომიქტება.</u> პეტრიაშვილი ლ., ოხანაშვილი მ. | 96 |
| <u>- აროგნოზირების სერვისების ორგანიზაცია კორაონაციულ ძალებში.</u> | |
| რეისიგი ვ., სურგულაძე გ., გულუა ლ. | 100 |
| <u>- გაცავილებული მოცავეთა გამზირის აგების ავტომატიზაცია .NET გარემოზო.</u> | |
| სურგულაძე გ., თოფურია ნ., ყვაველი ლ., ვაჟარაძე ი. | 105 |
| <u>- გამკითხა-ვაცასების კომიუნიკაციული სისტემა „უნივერსიტეტის“ აგების კონფერენცია.</u> ღვინევაძე გ. | 109 |
| <u>- რეალურის აღგორითმის მონაცემის გაზირების ენაზის მართვის სისტემის უზრუნველსაყოფა.</u> | |
| კობიაშვილი ა., გვარამია ე. | 111 |
| <u>- სამუშაო აღგილების მოდელირება მართვის გაცავილებული სისტემების დაკომიქტებისას.</u> | |
| სუხაშვილი თ. | 115 |

ტექნიკური ინფორმაციები

| | |
|---|-----|
| <u>- A BRIEF INTRODUCTION TO VOIP AND TVOIP.</u> Bohra N., De Meer H. | 118 |
| <u>- АЛГОРИТМ УСКОРЕННОГО ПОДСЧЕТА ЧИСЛА РАБОТОСПОСОБНЫХ СОСТОЯНИЙ СТРУКТУРНО-СЛОЖНЫХ СИСТЕМ.</u> Самхарадзе Р., Калабегишвили М. | 125 |
| <u>- ОПРЕДЕЛЕНИЕ ВЗАИМОСВЯЗЕЙ МЕЖДУ ОСНОВНЫМИ ХАРАКТЕРИСТИКАМИ КОМПЬЮТЕРНОЙ СЕТИ.</u> Лолашвили Н., Тевдорадзе М. | 129 |
| <u>- ОПРЕДЕЛЕНИЕ КАЧЕСТВА ОБСЛУЖИВАНИЯ РАСПРЕДЕЛЕННЫХ СИСТЕМ МУЛЬТИМЕДИЯ.</u> | |
| Бибилиuri ნ., Тевдорадзе მ., უმუდიანის ე., კორდახია კ. | 135 |
| <u>- ამავავითა გადაცემის სამასახლეოს მოსახურების საწილის ავასიდათვალის ანალიზი.</u> | |
| მირცხულავა ლ., კიქნაძე მ. | 141 |
| <u>- ВОПРОСЫ АВТОМАТИЧЕСКОГО ОБНАРУЖЕНИЯ ОШИБОК И ПОВЫШЕНИЕ ДОСТОВЕРНОСТИ ИЗМЕРИТЕЛЬНОЙ ИНФОРМАЦИИ В АВТОМАТИЗИРОВАННЫХ СИСТЕМАХ.</u> | |
| კუნელაშვილი ნ., ერემეишვილი ნ., კიკნაძე მ. | 144 |
| <u>- საჭარმოო მომსახურების ავტომატიზებული მართვის სფრუქტურული ანალიზი.</u> გაბედავა ო. | 148 |

| | |
|---|-----|
| - <u>მსელები ინფორმაციის დაცვის კონცეპცია.</u> შონია ო., შონია, გოგოზია ი., ფოლადაშვილი ნ. | 151 |
| - <u>ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება.</u> შონია ო., შეროზია თ., შონია დ., ცომაია ნ. | 154 |
| - <u>საგანგებო სისტემის თავისძაცვისა და ლიკვიდაციის მართვის სისტემა.</u> შონია ო., ლიდოშვილი კ., ფოლადაშვილი ნ. | 156 |
| - <u>გამოსახულების ურარტული კოდინგისა გადაცემული მონაცემების დამახსიჯების პირობები.</u> ხარატიშვილი ნ., ჩხეიძე ი., სტეპერმანი ვ. | 160 |
| - <u>ელექტრომორენგონისტების ტელემორფიზიკის რატივურ-არატრანს კსელი.</u> მოღებაძე ი., მურვიძენელი გ., მოღებაძე ნ., ერემეიშვილი ნ., ფოჭხაძე ე. | 164 |

გამოყენებითი ინფორმატიკა

| | |
|---|-----|
| <u>- ФОРМИРОВАНИЕ ДИАГНОЗА В ЭКСПЕРТНОЙ СИСТЕМЕ ДИАГНОСТИКИ СТОМАТОЛОГИЧЕСКИХ ЗАБОЛЕВАНИЙ.</u> Гогичаишвили Г.Г., Мануков С.Г. | 170 |
| - <u>რაორიზიულ ფფალგანაზილების აპლიკაციი ინფორმაციის გენერაციის აროგლების გაცემა.</u> ასაბაშვილი ე., ვართანოვი მ., წვერაძე ზ. | 177 |
| - <u>საქართველოს ხალილაშვილ მოძალავთა მედიკო-სოციოლოგიურ მონაცემთა კომპიუტერული ბაზა. ყაჭიაშვილი ქ., მეფარიშვილი ბ..</u> | 181 |
| - <u>ორგანიზაციის აათოლოგიის აღრეული დიაგნოსტიკისადმი სისტემური მიზანება.</u> მეფურიშვილი ბ., ჯანელიძე გ., მეფურიშვილი თ. | 184 |
| - <u>მილსაბლიუაგ მოჭობილობები დარტყმითი კალების შეცასება კატასტროფიზაციის თეორიის გამოყენებით.</u> სესაძე ვ., კეპენაძე ვ., ჭიკაძე გ., კაიშაური თ., ფალოძე ნ.. | 189 |
| <u>- MULTIMEDIA TECHNOLOGIES FOR THE STUDIES OF OPTIMAL CONTROL SYSTEMS.</u> Mosashvili I., Sesadze V., Maglakelidze N. | 193 |
| <u>- ОПИСАНИЕ ФУНКЦИОНАЛЬНОЙ СТРУКТУРЫ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ ФЕРМЫ ДЛЯ ПРОЕКТИРОВАНИЯ АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЫ ПРОГНОЗИРОВАНИЯ УРОЖАЯ.</u> П почовян С. М. | 197 |
| - <u>ელექტრომორენგის განაზილების გეომოდი “ოძროს კვეთის” აროპორციის გამოყენებით.</u> მაჭარაშვილი გ. | 200 |
| - <u>კომაიულარეული სისტემა ეტიკოლოგიურ მიებათა არობასის აათოვატიზებისათვის.</u> ღვინევაძე გ. | 204 |
| - <u>მონაცემთა საცავის დაკრომებული გადატყველიებათა მიზანის მარადამშრი სისტემისათვის კომუნიკაციები ბანის გატარითზე.</u> ვაჭარაძე ი. | 207 |
| - <u>ელექტრომორენგის ტექნიკური დანაკარგებების კონტროლის კომპიუტერული სისტემის აგება ORM/ERM პაზაზე.</u> სურგულაძე გ., თოფურია ნ., ბახია გ. | 211 |
| - <u>მარავატინგული პროცესების იმიტაციური მოდელის აგება აგენტური მოდელირების გამოყენებით.</u> ოხანაშვილი მ., პეტრიაშვილი ლ. | 215 |
| - <u>ახალი მიზანმა ინტერესული საინფორმაციო-სამიერო სისტემების აგების ტექნიკოლოგიაზე (www.e-infog.ge-ს გაგაღითზე).</u> ღოლიძე თ. | 219 |
| - <u>ვირტუალური მარკეტინგული პროცესების მიზანის და დისტრიბუტორ-რეალიზატორის ავტომატიზებული სამუშაო აღზილი.</u> ქაშიბაძე გ. | 223 |
| - <u>მონაცემთა ინტენსივული ანალიზი.</u> პეტრიაშვილი ლ., ოხანაშვილი მ., ახალაია შ. | 227 |

**იცოდებათიპა, აროგრამული ფენოლოგია და გათი გავითარების და სფავლების
თანამდებობები მიმართულებაში**

გიორგი გოგიჩაიშვილი, არჩილ ფრანგიშვილი, გია სურგულაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია ინფორმატიკის, როგორც კომპლექსური, საგანთორისი მეცნიერების არსის, მისი სტრუქტურული კომპონენტების ანალიზის, თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების საკითხები. განიხილება ფუნდამენტური პროგრამული პლატფორმები და ენები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებში. შემოთავაზებულია ის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები და შედეგები, რომლებიც სტუ-ს ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ავტორთა მიერ იქნა მიღებული. მნიშვნელოვანია აგრეთვე ამ შედეგების სასწავლო პროცესში ასახვა, ქართულ ენაზე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის ფონდის შექმნა, მათ შორის ელექტრონული სახელმძღვანელოების.

დავიზუალი ციტატები

პარტმუტ ველეკინდი

გერმანია, ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტი

რეზიუმე

შემოთავაზებულია ავტორის ექსპერიმენტის შედეგები (კატეგორიალური ანალიზის, რელაცირი მოდელებისა და ლოგიკის თეორიაზე დაყრდნობით – რედ.) იმის შესახებ, რომ გაუგებარი ელემენტარული ფილოსოფიური ტერმინოლოგია ყველაზე უკეთ შემოთავაზებულია ვითჯენშტეინის აფორიზმულ სტილში. ვითჯენშტეინის მიხედვით ნაჩვენებია, თუ რა ადვილია მიზნის მიღწევა, როცა ეს ტერმინოლოგიური პრობლემები გადაწყვეტილია. სიტყვა „დავიწყებული“ აფიქსირებს, რომ არაფერი არაა ახალი ამ ნაშრომში. თითქმის ყველაფერი შეიძლება მოიძებნოს ენციკლოპედიებში. ავტორი მადლიერია წიგნის „ენციკლოპედია, ფილოსოფია და მეცნიერული თეორია“ რედაქტორის (კ. მიტელშტრასის).

ინგინერული განტოლებები და უტოლობები ელემენტარული პროცესების მიზნებისთვის

გოლფგანგ რეისიგი

ბერლინის ჰაუსბოლდტის უნივერსიტეტი

რეზიუმე

ელემენტარული პეტრის ქსელების სტრუქტურა და ყოფაქცევა შეიძლება წარმოდგენილ იქნას ჩვეულებრივ წრფივი ალგებრაში. მათ აღწერენ ვექტორებისა და მატრიცების საშუალებით. ამასთანავე შესაძლებელია განტოლებათა სისტემის ფორმირება და მის საფუძველზე ელემენტარული პეტრის ქსელების თვისებების გაანგარიშება. აქ შემოთავაზებულია გარკვეული თეორიული ალგორითმები და პრაქტიკული მაგალითები ინვარიანტული განტოლებების, უტოლობებისა და მათი კომბინაციის საფუძველზე.

**გეოგრაფიული მოდელირება და ამოცავების ამოხსინის
გრაფიკული მეთოდები**

გალიდა სესაძე, გელა ჭიკაძე, ვლადიმერ კვეკუნაძე, თინათინ კაიშაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩამოყალიბებულია გამოყენებითი გეომეტრიისა და გეომეტრიული მოდელირების ზოგადი პრინციპები. ნაჩვენებია, რომ მოდელირების გეომეტრიულ მეთოდებს, რომლებსაც გარემოს კვლევის პრობლემა დაყავს მათემატიკურ ამოცანებამდე, კვლევის სხვა მეთოდებს შორის უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. ეს მეთოდები გვაძლევს საშუალებას გადავწყვიტოთ მეცნიერებისა და ტექნიკის რული ამოცანები, მოვახდინოთ ახალი მოვლენების პრიგნოზირება, დავაგეგმაროთ ოპტიმალურ რეჟიმში მომუშავე ტექნიკის ახალი საშუალებები. გეომეტრიული მეთოდები წარმატებულად შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცნიერების სხვადასხვა დარღვი, კერძოდ, ეკონომიკურ დაგეგმარებასა და მართვის ავტომატიზებულ სისტემებში. ყოველივე ამან განაპირობა განვითარებულიყო ისეთი ახალი მიმართულება, როგორიცაა კომპიუტერული გრაფიკა.

**ახალი ალგორითმი აროვილის ბლანტი სითხით გარსდენის ამოცანის
გასათვალებად დამყარებული გარსდენის შემთხვევაში**

თამაზ ობგაძე, ირმა დავითაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შემოთავაზებულია ალგორითმი, რომელიც ემყარება მექანიკის ძირითად კანონებს და კლასიკურ ექსპერიმენტებს. განვიხილავთ უკუმშ, ბლანტ სითხეს და შემდგომში, ქრისტიანოვიჩის გადათვლის ფორმულების მეშვეობით, გადავდივართ პროფილის აეროდინამიკურ მახასიათებლებზე კუმშვადი სითხეებისათვის. ნაშრომი ემყარება არაწრფივი დაპროგრამების მეთოდის გამოყენებას ინტეგრალური ცდომილების მინიმიზაციისათვის, როდესაც შემოფარგლის პირობები წარმოადგენს მასის შენახვის კანონს და ბერნულის ინტეგრალურ განტოლებას ბლანტი სითხეებისათვის. გამოითვლება ტანგაჟის მომენტი და ამწევი ძალის კოეფიციენტი ნულოვანი დაშის კუთხისათვის.

**არაფორმული სისტემების ეკვივალენტურ კომპიუტერი
კოეფიციენტის განსაზღვრის საკითხისათვის**

ნინო მჭედლიშვილი, თეიმურაზ იმედაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამუშაოს მიზანია არაწრფივი სისტემების ანალიზის გარკვეული კლასის ამოცანის გადაწყვეტა, კერძოდ, კვლევის მეთოდების ორ დიდ ჯგუფს: პარმონიული ბალანსისა და ობიექტთა დროის სივრცეში ფუნქციონალური აღწერის მეთოდებს შორის კავშირის დადგენა. საკვლევი სისტემის სტრუქტურა წარმოადგენს მიმდევრობით ჩართულ წრფივ დინამიკურ და არაწრფივ სტატიკურ ნაწილებს (ვინერის და ჰამერშტეინის მოდელები), რომლებიც აღწერილია ვოლტერას მწკრივის საშუალებით. დამუშავებულია ფართო კლასის არაწრფივი დინამიკური სისტემების გაძლიერების კომპლექსური კოეფიციენტის მათემატიკური მოდელის მიღების ალგორითმი.

**მრავალპროცესორიან გამოთვლით სისტემაზე ამოცანის ამოს სისტემის
აღმართობის განსაზღვრის შესახებ დოკუმენტი რეზერვის არსებობისას**

ზურ ჯოჯუა, ნინო ჯოჯუა, მიქაელ ილია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დამუშავებულია მრავალპროცესორიან (მრავალმანქანიან) გამოთვლით სისტემებში (მაგს) ამოცანის გადაწყვეტის ალბათობის განსაზღვრის ანალიზური მოდელი, როდესაც სისტემაში მოქმედებს მტყუნებათა პუასონისებური ნაკადი და არსებობს ამოცანის ამოხსნის დროითი რეზერვი. ამოცანის გადაწყვეტის დროის განაწილებას აქვს ერთულოვანი ფუნქციის სახე. მტყუნებული პროცესორების აღდგენის დრო განაწილებულია მაჩვნებლიანი კანონით. სისტემის რეკონფიგურაციის დრო განაწილებულია ნებისმიერი კანონით. შემოტანილია ამოცანის მოცემულ დროში გადაწყვეტის ალბათობის ფუნქცია და შედგენილია შესაბამისი ანალიზური გამოსახულებები. ლაპლას-სტილტესის მეთოდით რიგი გარდაქმნების შემდეგ მიღებულია წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემა, რომლის ამოხსნა საბოლოოდ იძლევა ამოცანის გადაწყვეტის ალბათობის ფუნქციის სახეს ლაპლასის ფორმაში.

**მართვის კომიტეტის სისტემაზე გაზომილი ინფორმაციის
აღაპებური რეზიუმე აღმისარჩივის აღმონაბეჭდი**

თენგიზ მაჭარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ოპტიმალური ალგორითმები, რომლებიც მრავალარხიან ავტომატიზებულ სისტემებში უზრუნველყოფს გასაზომი პარამეტრების დისკრეტულ მნიშვნელობათა შეტანასა და რეგისტრაციას მათი სპექტრული მახასიათებლების გათვალისწინებით. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს შემდგომი დამუშავებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის მოცულობას.

მსგავსების კომიტეტის ზომები

თალიკო უვანია, მზია კიქნაძე, მანანა მაღრაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ალგორითმული მსგავსების ზომების ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ კლასს წარმოადგენს ე.წ. კომიტეტური მსგავსების ზომები. ნაშრომში განხილულია მსგავსების ალგორითმულ-კომიტეტური ზომების ფორმირების ორი ალგორითმი, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად ან ფორმირებულ მსგავსების ზომების სიმრავლეს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია სასწავლო ნაკრების რეალიზაციების პრაქტიკულად უშეცდომოდ ამოცნობა.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გათვალისწინებული მოდელი

ოთარ შონია, გულბათ ნარეშელაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში, საზოგადოებრივი აზრის აღმატები ანალიზის საფუძველზე, დამუშავებულია საზოგადოებრივ ჯგუფზე ზეგავლენის მათვატიკური მოდელი. დასაბუთებულია დებულება ჯგუფში საბოლოო საერთო აზრის შესაძლებლობის შესახებ.

ამოცნობის საიმპორტის აროგნირება კლასტერის შედეგების მიხედვით

ოთარ ვერულავა, თეა თოლეა, ლაშა ვერულავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ამოცნობის პროცესის პროგნოზირების პრობლემა კლასტერის შედეგებზე დაყრდნობით. კერძოდ, შემოტანილია სახეების (კლასტერების) გავლენის ზონის ცნება, რის საშუალებითაც ზედება ამოცნობის პროცესში შესაძლო შეცდომების პროგნოზირება. მოცემულია გავლენის ზონების თანაკვეთისა და არათანაკვეთის შემთხვევები. როგორც ამ უკანასკნელის კერძო შემთხვევა, განხილულია არაკომპაქტური კლასტერებიც.

ტესტური კონტროლის ამოცანის ფორმალიზაციის შესახებ

ზურაბ ბოსიკაშვილი, დავით კაპანაძე, თალიკო უვანია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ავტომატიზებული ტესტური კონტროლის ფორმალური მოდელების აგების საკითხები. დაისვა სხვადასხვა საგნობრივი სფეროსათვის მაკონტროლებელი ტესტების ავტომატიზებულად გენერირების ზოგადი ამოცანა, რაც საშუალებას იძლევა ერთიანი ფორმალიზმის საფუძველზე აიგოს ავტომატიზებული ტესტური კონტროლის სისტემები.

მსელის მართვის აროგნის ალგორითმები

გულნარა ჯანელიძე, ბადრი მეფარიშვილი, თამარ მეფარიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია რთული ტოპოლოგიის მქონე ქსელში ნაკადების ოპერატიული მართვის პრობლემა, რომელიც ძირითადად კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების პოვნას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შემოთავაზებულია ზელოგნური ინტელექტის, როგორც მაღალი დონის მართვის თანამედროვე მეთოდების რეალიზაციის შესაძლებლობები. ობიექტის სპეციფიკადან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია ზელოგნური ნეირონული ქსელებისა და ფრეიმების სისტემების გენეტიკურ ალგორითმებთან ერთობლივი გამოყენების აუცილებლობა.

რეალიზების მექანიზმების მოდელირება რაიონული მოდელირების გაული

დაპროექტებისას

თემურაზ სუხიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საავტომატიზაციო ობიექტების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ევოლუციური განვითარება, რომელიც განპირობებულია შინაგანი თვითორგანიზაციით და სრულყოფით. მოთხოვნები სისტემისადმი იცვლება და შესაბამისად უნდა შეიცვალოს მოდელიც. სტატიაში განიხილება მოდელის კორექტურების გათვალისწინებით მოთხოვნათა რეალიზების მექანიზმების მოდელირება და იდენტიფიცირება. ამ მიზნით, რეალიზების მექანიზმი წარმოდგება კონცეპტუალური ფრაგმენტის სახით, რომელიც, განსაზღვრავს რა მოთხოვნა-პრეცენტის სემანტიკას, საჭიროებისას შეიძლება გაიხსნას და ინახოს მისი დამალული სტრუქტურული და ქცევითი დეტალები.

შესაძლებლობათა სიმულაციის მოდელის შესახებ

ლოლიტა ბეჯანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მომხმარებელთა პრეტენზიებმა პროგრამული პროდუქტების ხარისხზე გამოკლევების წინა პლანზე წამოწიეს დამუშავებული სისტემის ხარისხის გარანტიები. შექმნილი სისტემის ხარისხი გამოცხადებული იქნა სისტემის თვისებად და უნდა გამხდარიყო მართვადი და დასაგეგმი. აღმოჩნდა, რომ პროდუქტის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია პროცესების ხარისხზე, რომელთა გამოყენებაც საჭიროა ამ პროდუქტის შესაქმნელად. ამ ფაქტის გააზრება გახდა ფუძემდებლური CMM/CMMI-ის მოდელის შექმნისათვის, რომლის დანიშნულებაა დამუშავების პროცესების სიმწიფის შეფასება და დამუშავების პროცესების ძირითადი ჯგუფების განსაზღვრა. საქართველოში CMM/CMMI-ის შესწავლა და მით უმეტეს სერტიფიცირება ჯერჯერობით არ ხორციელდება. ამიტომ აქტუალურია კოგნიტიური სისტემის შექმნა ორგანიზაციის შესაბლებლობათა შესაფასებლად, ასევე ორგანიზაციული კულტურის პრინციპების შესწავლის მიზნით.

მონაცემთა ბაზების დაპროექტება პრეცენტის მოდელირების რაიონულობისას

ნინო თოფურია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია კონფერენციის ორგანიზატორთათვის მონაცემთა ბაზების ავტომატიზებული დაპროექტების პროცესი. კონცეპტუალური მოდელის დაპროექტება განხორციელებულია ORM დააგრამისა და მისი შესაბამისი ER მოდელის საშუალებით. ნაჩვენებია ER მოდელის სტრუქტურული და სემანტიკური სრულყოფის თეორიული და ინსტრუმენტული საშუალებები.

პორაორაციული საინფორმაციო სისტემების დაპოვებულება

ღილი პეტრიაშვილი, მარა ოხანაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც უკავშირდება საინფორმაციო დანართის სპეციალურ კლასს და ორიენტირებულია არა ტრანზაქციათა ოპერატიულ დამუშავებაზე (On-Line Transaction Processing – OLTP), არამედ მათ ოპერატიულ ანალიტიკურ დამუშავებაზე (On-Line Analytical Processing OLAP). ამ ორი განსხვავებული სახის სისტემის საშუალებით შესაძლებელი ხდება აბსოლიტურად განსხვავებული ამოცანების გადაჭრა. კორპორაციული საინფორმაციო – OLTP სისტემები იქმნება იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს კორპორაციათა ყოველდღიურ საქმიანობას და წინა პლანზე წარმოაჩინოს აქტუალური მონაცემები. OLAP-სისტემები კი ემსახურება კორპორაციის ან მისი ცალკეული კომპონენტების საქმიანობის ანალიზს, რის საშუალებითაც აკეთებს პროგნოზს კორპორაციის მომავალ მდგომარეობაზე. ამისათვის კი საჭიროა კორპორაციის მუშაობის შესახებ (როგორც წარსულში ასევე არსებულ მდგომარეობაში) მრავალრიცხოვან მონაცემთა დაგროვება.

პროგრამული სერვისების ორგანიზაცია კორპორაციულ ქსელებზე

ვოლფგანგ რეისიგი, გია სურგულაძე, დავით გულუა

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება კორპორაციული სისტემების კლიენტ-სერვერული არქიტექტურა, რომლის სერვერული (ტერმინალ-სერვერი) მომხმარებელთა სამუშაო სესიების მართვასა და კლიენტთა მიმართვების ფიზიკური სერვერებზე თანაბარ განაწილებას უზრუნველყოფს, ხოლო კლასტერის (ფაილ-სერვერის) ამოცანას საერთო რესურსების (ვირტუალური IP-მისამართები და ქსელური სახელები, საერთო სერვისები და პროგრამები, განაწილებული კატალოგები და სხვა) საიმედო შენახვა და გარე მეხსიერებასთან (მაგ. SAN-დისკების მასივი) მიმართვის ორგანიზება წარმოადგენს.

**განაზილებული მონაცემთა ბაზების აგების ავტომატიზაცია
.NET გარემოში**

გია სურგულაძე, ნინო თოფურია, ლევან ყვავაძე, ირინა ვაჭარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია განაწილებული მართვის სისტემების მონაცემთა რელაციური ბაზების დაპროექტებისა და რეალიზაციის ამოცანის გადაწყვეტის საკითხები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების (.NET, UML) ბაზაზე. განიხილება მირითადი კონცეფცია რევერსიული, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების, ობიექტ-როლური მოდელის (ORM), არსოთა-დამოკიდებულების მოდელის (ERM) და მონაცემთა აღწერის ენის (DDL) ურთიერთთავსებადობის შესახებ. შედეგები ასახულია MsSQL Server და ADO.NET გარემოში სამუშაოდ.

**გამოკითხვა-შევასების კომიტეტის სისტემის „უნივერსიტეტი“
აგების კონცეფცია**

გელა ღვინევაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, შემოთავაზებულია შეიქმნეს კომპიუტერული სისტემა „უნივერსიტეტი“, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება სტუდენტების ცოდნის შემოწმება სემეტრული გამოცდების ჩატარების ავტომატიზების მეშვეობით. სისტემის შექმნა-დანერგვა, პროცესის გაადვილების მიზნით, სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად. აღნიშნულია, რომ სტუ-ს მას კათედრაზე ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება უკვე არსებობს.

**რედუქციის აღგორითმი მონაცემთა ბაზების ენების რეალიზაცია
სისრულის უზრუნველსაყოფად**

ა. კობიაშვილი, ე. გვარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შემოთავაზებულია ალგორითმი, რომელიც უზრუნველყოფს რელაციური აღრიცხვის ნებისმიერი გამოსახულების დაყვანას რელაციური ალგებრის სემანტიკურად ექვივალენტურ გამოსახულებამდე. წარმოდგენილია მოცემული ალგორითმის საილუსტრაციო მაგალითი. ნაჩვენებია ამ ალგორითმის უპირატესობა.

**სამუშაო აღგილების მოდელირება გართვის განაზილებაზე
სისტემების დაარომეტებისას**

თეიმურაზ სუხიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განაწილებული სისტემების დაპროექტებისას მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების და აქტიორთა მიერ შესასრულებელი ოპერაციების სწორად განსაზღვრა და მოღელირება. სტატიაში განიხილება აქტიორთა როლების დადგენის და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო პროცესების განსაზღვრის საშუალება პრეცედენტების ანალიზისა და მოღვაწეობის დიაგრამის საფუძველზე.

A BRIEF INTRODUCTION TO VOIP AND TVOIP

Nafeesa Bohra, Hermann De Meer

Chair of Computer Networks and Communications,
Faculty of Mathematics and Computer Science, ITZ/IH,
University of Passau. Innstr – 43, D-94032, Passau, Germany.
{bohra,demeer@fmi.uni-passau.de}

Abstract

The Internet is evolving into a universal communication network and the next generation of Internet together with data will carry voice and video traffic over an IP infrastructure. The way the Internet is evolving in homes and in offices it has become an essential part of life as water and electricity. A revolution is occurring as organizations of all sizes begin to implement IP-based voice and video communication systems. VoIP, VoD (Video on Demand) and TVoIP are currently the most emerging applications that can be integrated over a single IP infrastructure. This paper gives a brief introduction about VoIP, VoD and TVoIP. What are the limitations and QoS requirements in order to integrate these services over an IP infrastructure?

**სტრუქტურულად რთული სისტემების მუშა მდგომარეობათა
რიცხვის სფრაზი თვლის აღზორითი**

რომან სამხარაძე, მირიან კალაბეგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტრუქტურულად რთული სისტემების მუშა მდგომარეობების დაჩქარებული დათვლის ალგორითმი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ხდება ნიღბის ფორმირება, რომელიც წარმოადგენს გამართულად მომუშავე საიმედოობის პირობითი ელემენტების მინიმალურ რაოდენობას; ნიღბი იყოფა ჯგუფებად, რომელთა მიջნით სრულდება საჭირო ვარიანტების გენერირება და გადარჩევა.

კომპიუტერული ქსელის ძირითად მახასიათებლებს შორის

ნინო ლოლაშვილი, მედეა თევდორაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია კომპიუტერული ქსელების მთელი რიგი ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლები, მათ შორის გამოყოფილია ისეთი ძირითადი მახასიათებლები, როგორიცაა: საიმედოობა, ტოპოლოგია, ღირებულება და დროითი მახასიათებლები. დადგენილია ძირითად მახასიათებლებს შორის არსებული ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან

ერთად გამოყვანილია კომპიუტერული ქსელის ეფექტურობის შეფასების კომპლექსური მაჩვენებელი.

განაცილებული მულტიმედია სისტემების მომსახურების

ხარისხის განსაზღვრა

ნინო ბიბილური, მედეა თევდორაძე, ელენე უმუდუშიადის, ქეთევან კორძახია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განვიხილავთ განაცილებული მულტიმედიური სისტემების მომსახურების ხარისხის განსაზღვრის საკითხი. აღნიშნულია, რომ მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს მულტიმედიური სისტემის კომპონენტების მახასიათებლები. სტატიაში ყველა ეს მახასიათებლივ განხილულია ცალ-ცალკე და მოყვანილია მათი განსხვავებები ტრადიციული სისტემის კომპონენტების მახასიათებლებისგან. შემუშავებულია მულტიმედიური სისტემის მომსახურების ხარისხის დამუშავების სცენარი.

მონაცემთა გადაცემის ქსელების მომსახურების ხარისხის მახასიათებლის ანალიზი

ლელა მირცხულავა, მზა კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია მონაცემთა გადაცემის ქსელის მოდელი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხს. მონაცემთა გადაცემის ქსელი უზრუნველყოფს ქსელის ერთი ბოლოდან მეორეში გადაცემის სერვისს, რომელიც ეფუძნება მონაცემთა “საუკეთესო მცდელობის” გადაცემის მოდელს. მოცემულ მოდელში მონაცემები გადაეცემა ადრესატს უმოკლეს დროში.

შეცდომების ავტომატური აღმოჩენისა და საზომი ინფორმაციის სარწმუნობის აგალლების საკითხების აპალური საკითხები ავტომატიზებულ სისტემაზე

ნანა კუნელაშვილი, ნაზიაროლა ერემეიშვილი, მზა კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია დამოწმების სისტემებში საზომი ინფორმაციის შეცდომების აღმოჩენის აქტუალური საკითხები. ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს დამოწმების შედეგების სარწმუნობის უზრუნველყოფა. გათვალისწინებულია კატასტროფულ და დეგრადაციულ მტყუნებათა მოწესრიგებული კონტროლი. საზომი ინფორმაციის სარწმუნობის ამაღლების განხილული მეთოდი საგრძნობლად აუმჯობესებს დამოწმების სისტემის მახასიათებლებს.

საჭაროო ობიექტების ავტომატიზებული მართვის სტრუქტურული ანალიზი

ომარ გაბერდავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში დამუშავებულია საწარმოო ობიექტების ავტომატიზებილი მართვის სისტემებში გამოყენებული მართველო სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართავი კვანძების საიმედობას, აგრეგატულობას, მოქნილობასა და ეკონომიკურობას.

ქსელზაში ინფორმაციის დაცვის კოცენტრი

ოთარ შონია, დავით შონია, ირაკლი გოგოხია, ნინო ფოლადაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული კომპიუტერულ დანაშაულებათა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. განხილულია საინფორმეციო სისტემების ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები და ჩამოყალიბებულია ასეთ ქსელებში ინფორმაციის დაცვის საერთო კონცეფცია.

ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება

ოთარ შონია, თამაზ შერლზია, დავით შონია, ნინო ცომაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ინფორმაციული სისტემების ფუნქციონირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. მოცემულია ამ პრობლემათა გადაწყვეტის, მომხმარებელთა მოთხოვნილების გათვალისწინებით, ძირითადი მიმართულებები.

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიპიდაციის მართვის სისტემა

ოთარ შონია, კორნელი ოდიშარია, ნინო ფოლადაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დასაბუთებულია სახელმწიფოში, ცალკე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციათა მართვის სისტემის შექმნის აუცილებლობა. დამუშავებულია აღნიშნული სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების კონცეფცია.

გამოსახულების ფრაგმატალური კოდირება გადაცემული მონაცემების დამახილების აირობები

ნოდარ ხარატიშვილი, ირინა ჩხეიძე, ვიოლეტა სტეპერმან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია დამახილებების ზემოქმედება, რომლებიც მოქმედებენ გადაცემულ ინფორმაციაზე გამოსახულების კოდირებისას შეკუმშვის ფრაგმატალური მეთოდის გამოყენების დროს. მიღებულია, რომ დეკოდირებისას აღდგენილი გამოსახულების ხარისხი უფრო მგრძნობიარეა დომენის ნომერზე შეცდომების ზემოქმედებისას, ვიდრე გარდაქმნის ინდექსზე შეცდომების ზემოქმედებისას. მის გამო რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს შეცდომების აღმოჩენის და შესწორების მეთოდი დომენის ნომრის გადაცემისას და ამით გაიზარდოს აღდგენილი გამოსახულების ხარისხი.

ელექტრონური გარემოების ტელეკომუნიკაციის

ოპტიკურ-პოტკოვარი ქსელი

იური მოღებაძე, გურამ მურჯიკული, ნატო მოღებაძე,

ნაზიბროლა ერემეიშვილი, ელდარ ფოფხაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია საქართველოს ელექტრონურგეტიკის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელის ავტომატიზაციის საკითხები. კერძოდ, რეკომენდირებულია, რომ ელექტრონურგეტიკის სისტემაში უნდა ფუნქციონირებდეს როგორც საკუთარი, ისე არენდით აღიდებული ტელეკომუნიკაციის არხები, რათა ენერგობიურებებს შორის კავშირი იყოს საიმედო და მაღალი ხარისხის. ასევე ნაჩვენებია, რომ ოპტიკური ბოჭკო კავშირის სიიაფის გამო დამოკიდებული უნდა იყოს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზზე. მოყვანილია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის უპირატესობანი სხვა კავშირებთან შედარებით, მისი მიღევის დამოკიდებულება ტალღის სიგრძესთან და გაუძლიერებლად სხივის გავრცელების მანძილის დამოკიდებულება მონაცემთა სიჩქარეზე. განხილულია ოპტიკური ბოჭკოსა და სხვადასხვა სახის ოპტიკური კაბელების პარამეტრები და ნაჩვენებია თუ როგორაა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე ოპტიკური კაბელი დაიკიდებული

**დიაგნოზის ფორმირება სტომატოლოგიურ დაავადებათა
დიაგნოსტიკის მესამრთულ სისტემაზი**

გიორგი გოგიაძეშვილი, სერგეი მანუკოვი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის ექსპერტული სისტემაში დიაგნოსტიკური ამონას სწორი ფორმირების მეთოდი. წარმოდგენილია სიმპტომატიკური ფაქტების და დიაგნოსტიკური ამონას სწორი ფორმალიზებული წარმოდგენის მეთოდიკა აღგებრული სისტემის სახის მოღელის გამოყენებით. ამონას სწორი შესაძლო გარიანტების მნიშვნელოვანი შემცირება ხორციელდება ფრაგმენტების სემანტიკური ტოლერანტობის და განზოგადების მექანიზმის გამოყენებით.

**ოპრატიულ ფყალგანაზიდვის ამოცანების ინფორმაციის
შემუშავების პრობლემის განხილვა**

ელისაბედ ასაბაშვილი, მარტინ გართანოვი, ზურაბ წვერაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მელიორაციულ სისტემებში, დეფიციტური წყლის რესურსების ეკონომიკურ-ოპტიმალური განაწილება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ინფორმაციულ-მმართველი სისტემის უკუკუშირის პირობებში, ანუ ერთი საფეხურით ზემდგომ მართველ ცენტრს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია მის დაქვემდებარებაში მყოფი ქვესისტემის მდგომარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე ვიდრე შევუდგებით მმართველი ზემოქმედებების გამომუშავებას ანუ მის დაქვემდებარებაში მყოფი წყლის რესურსების განაწილებას, მმართველმა ცენტრმა უნდა მიიღოს ინფორმაცია თითოეულ ქვესისტემაში საჭირო წყლის რაოდენობაზე. ამავდროულად უნდა იყოს გადაცემული ინფორმაცია ქვესისტემის დანაკარგებზე, იგივე ეკონომიკურ ეფექტზე, რომელიც შესაძლებელია მიიღოს წყლმომხმარებელმა მისთვის გამოყოფილი წყლის სხვადასხვა რაოდენობის შესახებ.

**საქართველოს ხადეაზმულ მოქალაქეთა მედიკო-სოციოლოგიურ
მონაცემთა კომპიუტორული ბაზა**

ქართლოს ფაჭიაშვილი, ბადრი მეფარიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია ავტორების მიერ Ms Access-ის პროგრამულ გარემოში შექმნილი გერონტოლოგიური მონაცემების კომპიუტერული ბაზა, რომლის დანიშნულებაა გერონტოლოგიური ინფორმაციის კომპაქტური შენახვა კომპიუტერში, მისი ნებისმიერი ნაწილის ოპერატორული მონახვის და საჭირო მონაცემების ადვილად გასასვები და თანამედროვე მათემატიკური მეთოდებითა და საშუალებებით დასამუშავებლად მოსახერხებელი ფორმით წარმოდგენის შესაძლებლობით. შექმნილი კომპიუტერული ბაზისათვის გადაწყვეტული იქნა შემდეგი ამოცანები: მონაცემთა ორგანიზაცია კომპიუტერის მეხსიერებაში და მათი მართვა; ინფორმაციის მოძებნა და საჭიროების შემთხვევაში მათი კერძებრივება; მონაცემთა შერჩევა მითითებული კრიტერიუმებით; ფორმებისა და ანგარიშების აგება; მონაცემებთან მუშაობისათვის სპეციალური მაკროსების დამუშავება; გრაფიკებისა და დიალოგების შექმნა; საჭირო ფორმებით ინფორმაციის წარმოდგენა.

**ორგანიზაციის აპოლოგიის აღმული დიაგნოსტიკისადამ
სისტემური მიღება**

ბადრი მეფარიშვილი, გულარა ჯანელიძე, თამარ მეფარიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დასაბუთებულია მაღალი რისკის სისტემურ დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სამედიცინო ექსპერტული სისტემის შექმნისა და დანერგვის აუცილებლობა, კერძოდ ორგანიზმის ზოგადი მონიტორინგული დიაგნოსტიკური სისტემის შემუშავება, რომლის ღრმასაც ხორციელდება პათოლოგიური სეგმენტის და თვით პათოლოგიის ხარისხის გამოვლინება, აგრეთვე თანმხლები და ფონური დაავადებების დადგენა. პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს ორგანიზმის გრაფული მოდელის ელემენტთა კოეფიციენტების იმ მნიშვნელობათა დადგენაში, რომლის შემთხვევაშიც მოდელის გამომავალი ვექტორის მნიშვნელობა პაციენტის რეალური ანამნეზის აღექვატური იქნება. აღნიშნული ამოცანა წარმატებით შეიძლება გადაწყდეს გენეტიკური ალგორითმების გამოყენებით. სისტემური მონიტორინგის წარმოდგენილი კონცეფცია შესაძლოა ახალი პარადიგმის – სისტემური მედიცინის, როგორც ადამიანის ორგანიზმის სისტემური მოდელირების, მრავალპლანური კვლევების და იმიტაციური ექსპერიმენტების საფუძველი გახდეს.

მიღსაგლინავ მოწყობილობაზი დარტყმითი კალების ჟიფასება

კატასტროფების თმორიის გამოყენებით

**სესაძე გალიძა, კეკენაძე ვლადიმერ, ჭიკაძე გელა,
კაიშაური თინათინ, ფაილოძე ნინო**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია მიღსაგლინავ მოწყობილობებში ავტომატდგანის დეფორმაციის კერაში სამართულისა და გლინის ურთიერთქმედების დარტყმითი ძალების შეფასება რ. ტომის კატასტროფების თეორიის მოხედვით. ავტომატდგანების გლინებში აღმრული მაქსიმალური დაძულების განსაზღვრისათვის აუცილებელია მხედველობაში მიღებული იქნას დარტყმითი ურთიერთქმედების ძალების გავლენა, რომლებიც განისაზღვრება სტატიაში მოცემული მეთოდების

მიხედვით. ანალიზისათვის გამოიყენება რ. ადამიას ურთიერთქმედების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ავტომატიზაციულ მიღების გლობურისას დარტყმითი პროცესის განსაკუთრებულობებს. აღწერილი მეთოდიკის მიხედვით დარტყმითი ურთიერთქმედების ძალების პრაქტიკულმა გათვლებმა გვიჩვენა, რომ ვღებულობთ ნაკეცის ტიპის კატასტროფას.

**სასტაციო გულტიშვილი პროგრამა ოპტიმალური
მართვის სისტემების შესტაციონის**

სა მოსაშვილი, ვალიდა სესამე, ნანა მაღლაკელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სასწავლო პროცესში მულტიმედიის მეთოდების მოდერნიზაცია იძლევა ტრადიციული სასწავლო მეთოდების პოტენციალით სარგებლობის შესაძლებლობას, მარტივს ხდის შედარებას განსხვავებულ მოდელებს შორის. სტუდენტი ვიზუალურად ხედავს ყველა მასალის მოდულს, რითაც მას შეუძლია ისწავლოს, გაიგოს გარეგული მხარე, რაც ანთერესებს. შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით მომზარებელი მონიშვნავს მოდულს, სწავლების მიზანს და სწავლების სტილს. ის იტევს სწავლების უფრო აქტუალურ მასალებს, დაყრდნობილია თეორიაზე, მაგალითებზე, სადემონსტრაციო ნაწილებზე, მოიცავს მულტიმედიურ ტექნოლოგიებს ანიმაციების შემცველობით, ვიზუალიზაციას და სხვა. მულტიმედიური პაკეტების ტექნიკური მხრიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ხელმისაწვდომობა და პროდუქტის მოხმარების სიადგილე. მაღალი ხარისხის მულტიმედიურ პროდუქტთან მუშაობა არის გაცილებით ადვილი და სწრაფი, კიდრე სხვა მასალებთან. ობიექტის თვალსაჩინოების პრობლემის გადაწყვეტა კომპიუტერის საშუალებით გაცილებით იოლია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა ცვლილებების შეტანა მაკეტში, სხვადასხვა პირობებში ობიექტის ყოფაქცევაზე დაკვირვება და სხვა. ამ მიზნით შექმნილია მულტიმედიური პაკეტი: „ოპტიმალური მართვის თეორია“ (მთვარეზე რბილად დაჯდომის მაგალითზე). აღნიშნული მაგალითისთვის ოპტიმალური მართვა განხორციელებულია პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის გამოყენებით.

სასოფლო სამურნეო ფერმის მართვის სისტემის ფუნქციონალური

სტრუქტურის აღჭრა მოსავლის პროგრეზირების

ავტომატიზებული სისტემის დასაპროექტობლად

პოჩოვიანი სიმონ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია ძირითადი ფუნქციების და გადასაწყვეტი ამოცანის აღწერა სასოფლო სამეურნეო ფერმის მართვის სისტემის ფუნქციონირებისას, მოსავლის პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებისათვის.

ელექტრომენის გაცაფილების მეთოდი “ოქროს კვეთის”

პროექტის გამოყენებით

გიორგი მაჭარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტექნიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, ფერწერის, არქიტექტურისა და სხვა სფეროებში სისტემის მდგრადობასა და პარმონიულობას უზრუნველყოფს ამ სისტემის ელემენტთა შორის „ოქროს პროცესი“ ანუ მათი ისეთი მდგომარეობა, რომელიც „ოქროს კვეთის“ წესს შეესაბამება. ეს პროცესი გულისხმობს სისტემის უთანაბრო გაყოფას ორ ნაწილად, რომელთა შორის თანაფარდობა: $1=0,618+0,382$. ანუ „ოქროს კვეთის“ პროცესი გამოვიყენოთ ელექტროენერგიის განაწილებისათვის ელექტროენერგიის მომხმარებელთა შორის. ამისათვის საჭიროა ჩავატაროთ ანალიზი 1990 წლისათვის, როდესაც საქართველოს ელექტროენერგეტიკაში შედარებით ნორმალური მდგომარეობა იყო. როგორც ანალიზიდან აღმოჩნდა ამ წელს ელექტროენერგიის განაწილება ახლოს იყო „ოქროს კვეთის“ პროცესის წესით განაწილების წესით. ამიტომ შეგვიძლია ელექტროენერგიის განაწილება მომავლისათვის იდეალური ვარიანტით იგივე წესის გამოყენებით.

კომპიუტორული სისტემა ეფიციენტობიურ პიგაბათა პროცესის ავტომატიზებისათვის

გელა ღვინევაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მეტყველების პირველსაწყისი ლექსიკის შემადგენლი სიტყვების ეტიმოლოგიის დადგნა ურთეული ლინგვისტური ამოცანა არის. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ასეთი ტერმინებისთვის ეტიმოლოგიის ძიებას პერსპექტივა არ აქვს, რადგანაც ისინი უმოტივაციო სიტყვებია. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა შემდეგი შედეგი მოგვცა: თავდაპირველი სიტყვების უმრავლესობისათვის ამოსავალი – ფესვური ცნებაა წყალი. ამ წანამძღვარზე დაყრდნობით, დადგენილ იქნა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით „უიმედო“ რიგი ქართული სიტყვების წარმოქმნის გზები. ცხადია, კვლევების გასაფაროთოებლად აუცილებელი გახდა ძიების პროცესში კომპიუტერის ჩართვა. შემუშავებულ იქნა სიტყვების ეტიმოლოგიის ძიების ავტომატიზებული სისტემის კონცეფცია. პროგრამა აფასებს მსგავსი უდერადობის სიტყვებს შორის ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობას, საბოლოო სიტყვა კი ეპუთვნით ექსპერტებს.

მონაცემთა საცავის დაპროექტება გადაწყვეტილებათა

მიღების მხარდაჭერი სისტემისათვის

კომერციული ბანკის მაგალითზე

როინა ვაჭარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია კომერციულ-საფინანსო ბანკებისათვის მონაცემთა საცავის აგებისა და ოპერატიული ინფორმაციის ანალიზის თანამედროვე სისტემების გამოყენების საკითხები. შემუშავებულია მონაცემთა მრავალგანზომილებიანი, რელაციური არსთა-დამოკიდებულების ვარსკვლავური სქემის დაპროექტების ვიზუალურ-ანალიზური მოდელი ობიექტ-როლური დიაგრამების ინსტრუმენტის საფუძველზე. საილუსტრაციო მაგალითისათვის განიხილება ბანკში კლიენტთა შემოსავლების მონიტორინგის ამოცანა.

**ელექტრონური ტექნიკური დანაკარგვების კონტროლის
კომპიუტერული სისტემის აგება ORM/ERM ბაზაზე**

გვ. სურგულაძე, ნინო თოფურია, გიორგი ბახია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ენერგეტიკის დარგში მომუშავე პერსონალისათვის მონაცემთა ბაზების ავტომატიზებულად დაპროექტების პროცესი, რომელიც განკუთვნილია ამ სფეროში არსებულ ეწ. „ტექნიკური დანაკარგების“ შესამცირებლად. კონცეპტუალური მოდელის დაპროექტება განხორციელებულია ORM დიაგრამისა და მისი შესაბამისი ER მოდელის საშუალებით. მომხმარებელთა ინტერფეისების პროგრამული უზრუნველყოფა შესრულებულია პრგრამული პაკეტის ASP.NET გამოყენებით.

**მარკეტინგული პროცესების იმიტაციური მოდელის აგება
აგენტური მოღვაწისათვის გამოყენებით**

მაია ოხანაშვილი, ლილი პეტრიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მარკეტინგულ პროცესებში იმიტაციური მოდელირების გამოყენების ეფექტურობა. აგრეთვე აგენტური მოღვაწისათვის მოდელირება, არა როგორც ტრადიციული მიდგომის შემცვლელი, არამედ როგორც დამატებითი საშუალება სისტემურ დინამიკაზე და დისკრეტულ-შემთხვევით მოღვაწისათვის მოდელირებაზე. მოცემულია მომსახურების მარტივი სისტემის აგენტური მოღვაწის სქემა.

**ახალი მიზანია ინტერნეტული საინფორმაციო-სამიმართო სისტემების
აგების ტექნიკური მოდელირებისათვის (www.e-info.ge-ს მაგალითზე)**

თემურაზ დოლიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ინტერნეტ საინფორმაციო-საძიებო სისტემების აგების ახალი მიზანი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს არა მარტო მიიღოს ინფორმაცია საძიებელი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ, არამედ განახორციელოს აღნიშნული ინფორმაციის პირველადი ანალიზი და შეფასება.

**ვირტუალური მარკეტინგული პროცესების მოღვაწისათვის და დისტრიბუტორ-
რეალიზატორის ავტომატიზებული სამუშაო აღგილი**

მარინა კაშიძაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული კომერციის სისტემების დამკვიდრებისა და ვირტუალური მარკეტინგის პერსპექტიული განვითარების კონცეფცია და ამოცანები. საზღვარგარეთული პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის პირობებში, განსაკუთრებით უმუშევრობის შემცირებისა და ვირტუალური სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით. შემოთავაზებულია ვირტუალური მარკეტინგის სისტემაში პროდუქციის ვირტუალური დისტრიბუტორ-რეალიზატორის ავტომატიზებული სამუშაო ადგილის აგების ამოცანა,

მონაცემთა აქტუალური ბაზით, საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პროცესის მოდელირებისა და ანალიზის ალგორითმით.

მონაცემთა ინტეგრირებული ანალიზი

ლილი პეტრიაშვილი, მარა ოხანაშვილი, შოთა აზალაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია Enterprise Resource Planning სისტემის განვითარება, მონაცემთა საცავების როლი ასეთი საინფორმაციო სისტემის არქიტექტურაში, აგრეთვე ინტეგრირებული საშუალების შექმნის პერსპექტივით ამ თრი ტექნოლოგიის გამოყენების ბაზაზე ანალიზური კვლევის ჩატარება.